

შპს „ფრემ ეარი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

|                                                                                               |                          |                |                |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------|----------------|----------------|
| შპს "ფრეშ ეარი"                                                                               |                          |                |                |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                                                            |                          |                |                |
|                                                                                               |                          | ერთეული: 1 GEL |                |
|                                                                                               | საანგარიშგებო პერიოდი    | შენიშვნა       |                |
|                                                                                               | 31.12.2018               | 31.12.2017     |                |
| <b>აქტივები</b>                                                                               |                          |                |                |
| <i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>                                                               |                          | <b>1013175</b> | <b>1109437</b> |
| ფულადი სახსრები                                                                               | 457806                   | 353663         | 3.1            |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                            | 341843                   | 266615         | 3.2            |
| ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები                                                    | 33593                    | 9085           |                |
| მარაგები                                                                                      | 113258                   | 49451          | 3.3            |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                                                       | 66675                    | 430623         |                |
| <i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>                                                            |                          | <b>159006</b>  | <b>214141</b>  |
| ძირითადი საშუალებები                                                                          | 158392                   | 213442         | 3.4            |
| არამატერიალური აქტივები                                                                       | 614                      | 699            | 3.5            |
| <b>სულ აქტივები:</b>                                                                          |                          | <b>1172181</b> | <b>1323578</b> |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>                                                              |                          |                |                |
| <i>ვალდებულებები, სულ:</i>                                                                    |                          | <b>331326</b>  | <b>558901</b>  |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                         | 51307                    | 37185          | 3.6            |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                    | 49819                    | 151143         |                |
| სხვა ვალდებულებები                                                                            | 230200                   | 370573         | 3.7            |
| <i>სულ კაპიტალი:</i>                                                                          |                          | <b>840855</b>  | <b>764677</b>  |
| საწესდებო (სააქციო) კაპიტალი                                                                  |                          |                |                |
| დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი                                                           | 840855                   | 764677         |                |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი:</b>                                                         |                          | <b>1172181</b> | <b>1323578</b> |
| ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.                            |                          |                |                |
| დირექტორი _____                                                                               | <b>ზურაბ ზურაბაშვილი</b> |                |                |
| თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი. |                          |                |                |

|                                                                                               |                       |          |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------|----------|
| შპს "ფრეშ ეარი"                                                                               |                       |          |
| მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება                       |                       |          |
| ერთეული: 1 GEL                                                                                |                       |          |
|                                                                                               | საანგარიშგებო პერიოდი | შენიშვნა |
|                                                                                               | 2018                  |          |
| ამონაგები                                                                                     | 2128747               |          |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                                         | -890498               |          |
| მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან                                                                | 1238249               | 3.9      |
| მიწოდების ხარჯები                                                                             | -9246                 | 3.10     |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                                                             | -781838               | 3.11     |
| სულ საოპერაციო ხარჯები:                                                                       | -791084               |          |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                         | 9717                  | 3.12     |
| დადებითი საკურსო სხვაობები                                                                    | 10033                 |          |
| სულ არასაოპერაციო შემოსავლები:                                                                | 19750                 |          |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები                                                                   | -1413                 |          |
| გაუთვალისწინებელი ხარჯები                                                                     | -207                  |          |
| სულ არასაოპერაციო ხარჯები:                                                                    | -1620                 |          |
| მოგება დაბეგვრამდე:                                                                           | 465295                |          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                     | -58368                |          |
| სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:                                                  | 406927                | 3.13     |
| სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:                                             |                       |          |
| სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:                                                  | 406927                |          |
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                            | 764677                |          |
| ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა                                                     |                       |          |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):                                               | -330749               |          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                         | 406927                |          |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                     |                       |          |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                | 840855                | 3.14     |
| ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.                            |                       |          |
| დირექტორი _____                                                                               | ზურაბ ზურაბაშვილი     |          |
| თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი. |                       |          |

|                                                                                                  |                       |
|--------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------|
| შპს "ფრეშ ეარი"                                                                                  |                       |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება<br>(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით) |                       |
| ერთეული: 1 GEL                                                                                   |                       |
|                                                                                                  | საანგარიშგებო პერიოდი |
|                                                                                                  | 2018                  |
| <b>ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:</b>                                        |                       |
| მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები                                         | 2273435               |
| სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან                                                       | 28                    |
| მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                                                           | -880694               |
| გაცემული შრომის ანაზღაურება                                                                      | -703430               |
| გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)                                               | -526864               |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                                     | -52889                |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები                                            | -7061                 |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                   | <b>102525</b>         |
| <b>ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:</b>                                    |                       |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა                                        | -2225                 |
| გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი                                                | 299707                |
| მიღებული პროცენტები                                                                              | 12809                 |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                 | <b>310291</b>         |
| <b>ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:</b>                                          |                       |
| გადახდილი დივიდენდები                                                                            | -314212               |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან</b>                                    | <b>-314212</b>        |
| ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)                                  | 5539                  |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:</b>                                                           | <b>104143</b>         |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:</b>                                 | <b>353663</b>         |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:</b>                                      | <b>457806</b>         |
| ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.                               |                       |
| დირექტორი _____                                                                                  | ზურაბ ზურაბაშვილი     |
| თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.    |                       |

## 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ფრეშ ეარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 27 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404949623, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის ქ. N 29-29ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 70%-იანი წილის მფლობელია ზურაბ ზურაბაშვილი (პ/ნ 01024017561). კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელია გიორგი ზურაბაშვილი (პ/ნ 01011037792).

1.3. კომპანიის დირექტორია ზურაბ ზურაბაშვილი (პ/ნ 01024017561).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარემონტო-სამშენებლო მომსახურება, კერძოდ გათბობა-კონდიციონირება-წყალმომარაგების სამუშაოები. კომპანია სამუშაოებს ახორციელებს ლოკაციის 4 ადგილიდან, რომლიდანაც სამი არის ქ. თბილისში, ხოლო 1 - გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბანში.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2018 წელს შეადგენდა 49 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

### **შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

### **საექვო მოთხოვნების აღიარება**

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

### **ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

### **გარიგებები უცხოურ ვალუტაში**

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

### **დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**



თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

### **მარაგები**

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

### **გრძელვადიანი აქტივები**

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

## 2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად,

2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## 2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

## 2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

### 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

#### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                                  | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2017<br>მდგომარეობით |
|----------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე         | 17354                               | 16005                               |
| აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე | 434278                              | 313897                              |
| ევრო საბანკო ანგარიშებზე         | 6170                                | 23762                               |
| <b>სულ:</b>                      | <b>457802</b>                       | <b>353663</b>                       |

#### 3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

|                                             | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2017<br>მდგომარეობით |
|---------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ | 338962                              | 263933                              |
| სავაჭრო მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ  | 2881                                | 2682                                |
| <b>სულ:</b>                                 | <b>341843</b>                       | <b>266615</b>                       |

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

#### 3.3. მარაგები:

|                                        | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2017<br>მდგომარეობით |
|----------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| სარემონტო-სამშენებლო მასალები          | 110684                              | 48201                               |
| საწვავ-საცხები მასალები                | 1338                                | 544                                 |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები | 1236                                | 706                                 |
| <b>სულ:</b>                            | <b>113258</b>                       | <b>49451</b>                        |

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან და სარეკლამო დანიშნულების საქონლისაგან.

#### 3.4. ძირითადი საშუალებები:

|                                | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | 2018 წელი<br>ზრდა ან<br>შემცირება | 2018 წელი<br>დარიცხული<br>ცვეთა | ნაშთი<br>31.12.2017<br>მდგომარეობით |
|--------------------------------|-------------------------------------|-----------------------------------|---------------------------------|-------------------------------------|
| კომპიუტერები<br>და აღჭურვილობა | 2636                                | 0                                 | 2088                            | 4724                                |
| ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი     | 244                                 | 0                                 | 244                             | 488                                 |
| სხვა                           | 3927                                | 1085                              | 2054                            | 4896                                |
| ხელსაწყოები                    | 2053                                | 1394                              | 3615                            | 4274                                |
| მანქანა<br>დანადგარები         | 4533                                | 0                                 | 4678                            | 9211                                |
| სატრანსპორტო<br>საშუალებები    | 145000                              | 0                                 | 44849                           | 189849                              |
| <b>სულ:</b>                    | <b>158392</b>                       | <b>2479</b>                       | <b>57528</b>                    | <b>213442</b>                       |

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 133311 ლარი;

### 3.5. არამატერიალური აქტივები:

|                            | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | 2018 წელი<br>ზრდა ან<br>შემცირება | 2018 წელი<br>დარიცხული<br>ამორტიზაცია | ნაშთი<br>31.12.2017<br>მდგომარეობით |
|----------------------------|-------------------------------------|-----------------------------------|---------------------------------------|-------------------------------------|
| პროგრამული<br>უზრუნველყოფა | 614                                 |                                   | 85                                    | 699                                 |
| <b>სულ:</b>                | <b>614</b>                          | <b>0</b>                          | <b>85</b>                             | <b>699</b>                          |

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 233 ლარი;

### 3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

|                                               | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2017<br>მდგომარეობით |
|-----------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ    | 37619                               | 26980                               |
| დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ | 13688                               | 10205                               |
| <b>სულ:</b>                                   | <b>51307</b>                        | <b>37185</b>                        |

### 3.7. სხვა ვალდებულებები:

|                                               | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2017<br>მდგომარეობით |
|-----------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| მიღებული ავანსები                             | 204004                              | 370573                              |
| გადასახდელი ხელფასები                         | 26175                               |                                     |
| ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ | 21                                  |                                     |
| <b>სულ:</b>                                   | <b>230200</b>                       | <b>370573</b>                       |

### 3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

### 3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სარემონტო-სამშენებლო მომსახურებით (გათბობა, კონდიციონირება, წყალმომარაგების სამუშაოები) მიღებული შემოსავლებიდან - **2128747** ლარი. ამ მომსახურების გაწევაზე (სამუშაოების შესრულებაზე) გახარჯული სარემონტო-სამშენებლო მასალების თვითღირებულებაა - **890498** ლარი, რომელიც დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით. მიღებული შეკვეთების შესრულებამდე, გამოყენების პროცესში არსებული მასალები აღრიცხულია როგორც მარაგი.

### 3.10. მიწოდების ხარჯები:

|                                 | 2018 წელი   |
|---------------------------------|-------------|
| სატრანსპორტო ხარჯები            | 119         |
| კომერციული მივლინებების ხარჯები | 9127        |
| <b>სულ:</b>                     | <b>9246</b> |

### 3.11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

|                                                   | 2018 წელი     |
|---------------------------------------------------|---------------|
| ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი         | 648000        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                              | 57530         |
| იჯარის ხარჯები                                    | 7871          |
| საკონსულტაციო ხარჯები                             | 13220         |
| ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები  | 1293          |
| ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი | 36754         |
| დაზღვევის ხარჯები                                 | 6009          |
| საბანკო ხარჯები                                   | 6863          |
| საკომუნიკაციო ხარჯები                             | 1441          |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები            | 2857          |
| <b>სულ:</b>                                       | <b>781838</b> |

### 3.12. საპროცენტო შემოსავალი:

2018 წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალი მთლიანად შედგებოდა ფიზიკურ პირზე გაცემულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტებისაგან - 9717 ლარი, რომელიც სრულად იქნა დაფარული 2018 წლის განმავლობაში.

### 3.13. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი - 465295 შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით - 58368 ლარით, რომელიც წარმოიშვა 2016-2017 წლების მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად (დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2018 წელს.

#### **3.14. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება**

2018 წლის მოგებიდან განაწილება არ მომხდარა. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2018 წლის ბოლოს შედგება 2017 (ნაწილობრივ) და 2018 წელს მიღებული მოგებიდან, რომლის განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

#### **3.15. სასამართლო დავები:**

კომპანიას 2018 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

#### **3.16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

#### **3.17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**

2018 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

#### **3.18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.



შპს „ფრემ ეარი“


## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

|                                            | საანგარიშგებო პერიოდი |                | შენიშვნა |
|--------------------------------------------|-----------------------|----------------|----------|
|                                            | 31.12.2018            | 31.12.2017     |          |
| <b>აქტივები</b>                            |                       |                |          |
| <i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>            | <i>1013175</i>        | <i>1109437</i> |          |
| ფულადი სახსრები                            | 457806                | 353663         | 3.1      |
| სავაჭრო მოთხოვნები                         | 341843                | 266615         | 3.2      |
| ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები | 33593                 | 9085           |          |
| მარაგები                                   | 113258                | 49451          | 3.3      |
| სხვა მიმდინარე აქტივები                    | 66675                 | 430623         |          |
| <i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>         | <i>159006</i>         | <i>214141</i>  |          |
| ძირითადი საშუალებები                       | 158392                | 213442         | 3.4      |
| არამატერიალური აქტივები                    | 614                   | 699            | 3.5      |
| <b>სულ აქტივები:</b>                       | <b>1172181</b>        | <b>1323578</b> |          |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>           |                       |                |          |
| <i>ვალდებულებები, სულ:</i>                 | <i>331326</i>         | <i>558901</i>  |          |
| სავაჭრო ვალდებულებები                      | 51307                 | 37185          | 3.6      |
| საგადასახადო ვალდებულებები                 | 49819                 | 151143         |          |
| სხვა ვალდებულებები                         | 230200                | 370573         | 3.7      |
| <i>სულ კაპიტალი:</i>                       | <i>840855</i>         | <i>764677</i>  | 3.8      |
| საწესდებო (სააქციო) კაპიტალი               |                       |                |          |
| დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი        | 840855                | 764677         |          |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი:</b>      | <b>1172181</b>        | <b>1323578</b> |          |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი



ზურაბ ზურაბაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „ფრეშ ეარი“

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

| ერთეული: 1 GEL                                                     |         | შენიშვნა |
|--------------------------------------------------------------------|---------|----------|
| საანგარიშგებო პერიოდი                                              |         |          |
| 2018                                                               |         |          |
| ამონაგები                                                          | 2128747 | 3.9      |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                              | -890498 |          |
| მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან                                     | 1238249 |          |
| მიწოდების ხარჯები                                                  | -9246   | 3.10     |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                                  | -781838 | 3.11     |
| სულ საოპერაციო ხარჯები:                                            | -791084 |          |
| საპროცენტო შემოსავალი                                              | 9717    | 3.12     |
| დადებითი საკურსო სხვაობები                                         | 10033   |          |
| სულ არასაოპერაციო შემოსავლები:                                     | 19750   |          |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები                                        | -1413   |          |
| გაუთვალისწინებელი ხარჯები                                          | -207    |          |
| სულ არასაოპერაციო ხარჯები:                                         | -1620   |          |
| მოგება დაბეგვრამდე:                                                | 465295  | 3.13     |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                          | -58368  |          |
| სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:                       | 406927  |          |
| სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:                  |         |          |
| სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:                       | 406927  |          |
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 764677  | 3.14     |
| ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა                          |         |          |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):                    | -330749 |          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                              | 406927  |          |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                          |         |          |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                     | 840855  |          |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი



ზურაბ ზურაბაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „ფრეშ ეარი“


**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**  
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

|                                                                        | საანგარიშგებო პერიოდი |
|------------------------------------------------------------------------|-----------------------|
|                                                                        | 2018                  |
| ფულადი ნაკადები <b>ს ა ო პ ე რ ა ც ი ო</b> საქმიანობიდან:              |                       |
| მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები               | 2273435               |
| სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან                             | 28                    |
| მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                                 | -880694               |
| გაცემული შრომის ანაზღაურება                                            | -703430               |
| გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)                     | -526864               |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                           | -52889                |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები                  | -7061                 |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან</b>         | <b>102525</b>         |
| ფულადი ნაკადები <b>ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო</b> საქმიანობიდან:          |                       |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა              | -2225                 |
| გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი                      | 299707                |
| მიღებული პროცენტები                                                    | 12809                 |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან</b>       | <b>310291</b>         |
| ფულადი ნაკადები <b>ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო</b> საქმიანობიდან:                |                       |
| გადახდილი დივიდენდები                                                  | -314212               |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან</b>          | <b>-314212</b>        |
| <b>ვ ა ლ უ ტ ი ს</b> კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო) | 5539                  |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:</b>                                 | <b>104143</b>         |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:</b>       | <b>353663</b>         |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:</b>            | <b>457806</b>         |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი \_\_\_\_\_



ზურაბ ზურაბაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.